

## სათემო რეაბილიტაცია და ინკლუზიური სოციალური თეატრი

2022 წლის 30 მარტს „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ტუნისის“ ( [LDA Tunisia](#) ) პროექტის "Je Repars de Toi" ფარგლებში გამართა ინკლუზიური შოუ სახელწოდებით „თეატრი ყველასთვის“ კულტურულ ცენტრში (Chebika-Kairouan) თემზე: სათემო რეაბილიტაცია და ინკლუზიური სოციალური თეატრი.

პროგრამა მდიდარი იყო წარმოდგენებით და შინაარსით. შოუმ დაწყებული ტუნისის ეროვნული ჰიმნით ნიშნების ენაზე, გაგრძელებული მიმიკის სპექტაკლით, ფანტაზიის თამაშით, სიმღერითა და ინკლუზიური რიტმული ცეკვით მიიპყრო მაყურებელთა ყურადღება.

10-დან 30 წლამდე ასაკის ოცდაცამეტი (33) შემსრულებელი წარმოდგენილი იყო შშმ პირთა სარეაბილიტაციო და სპეციალიზებული განათლების სამი (3) ცენტრიდან:

- Association Générale des Insuffisants Moteurs de (AGIM Kairouan)
- Union Tunisienne d’Aide aux Insuffisants Mentaux (UTAIM Kairouan)
- Association de Soutien Aux déficients auditifs (ASDA Kairouan)

ასევე, მათ შორის იყო შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ოთხი პირი, რომლებიც გაწევრიანდნენ თავდაცვისა და სოციალური ინტეგრაციის საჯარო ცენტრში (CDIS).

---

**2022 წლის 30 მარტს „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ტუნისის“ მიერ ორგანიზებული ინკლუზიური შოუ სახელწოდებით "თეატრი ყველასთვის", გაიმართა Chebika-Kairouan კულტურულ ცენტრში.**

---

**2020 წლის ოქტომბერში ზემოთხსენებულმა ცენტრმა (Chebika-Kairouan) დაარსა პროექტი შშმ ბავშვებისთვის. წელს პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამი (3) სამუშაო შეხვედრა. სესიების განმავლობაში მონაწილეებმა გაიარეს რეგულარული ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, მათი პიროვნებისა და შესაძლებლობების გაძლიერებას. შოუმ აჩვენა , რომ აქტივობებმა წარმატებით ჩაიარა, დავინახეთ მონაწილეთა უნარი შეუფერხებლად გადაადგილებულიყვნენ სცენაზე და და თავიანთი გამოსვლებით წარმდგარიყვნენ აუდიტორიის წინაშე.**

ზოგადად რომ ვთქვათ, სოციალური თეატრის არსი არის თანაცხოვრების, ტოლერანტობისა და მიმღებლობის გარემოს შექმნა საზოგადოებაში. თეატრი ყველასთვისაა: თითოეულ ჩვენგანს მშეუძლია ჩაერთოს სასწავლო აქტივობებში. ეს უკანასკნელნი მორგებულია მონაწილეთა შესაძლებლობებზე. ეს კონცეფცია გადაცემაში „თეატრი ყველასთვის“ რეალობად იქცა. გარდა ამისა, მაყურებელი გაოცებული იყო გამოცდილი და თავდადებული შემსრულებლებით, რომლებმაც ენთუზიაზმი და მღელვარება შემოიტანეს სცენაზე, ყველაფერი

**შესანიშნავად იყო წარმოდგენილი.** დეკორაციის, აქსესუარების, მუსიკისა და ხმის ეფექტები შერჩეული იყო დიდი ყურადღებით.

უფრო მეტიც, იმავე პროექტის ფარგლებში ("Je Repars de Toi"), რომელიც დაფინანსებულია AIC-ის მიერ და ახორციელებს „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ტუნისია“, [COPE Italy](#) -ის და შშმ პირთა რეაბილიტაციის ასოციაციების თანამშრომლობით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს იტალიიდან შეეძლებათ ეწვიონ კაირუანს, შეუერთდნენ თეატრალურ სახელოსნოებს და მოამზადონ კიდევ ერთი ინკლუზიური შოუ მაისის ბოლოს, იტალიელი და ტუნისელი მონაწილეების შესრულებულით.

საბოლოოდ, ეს დიდი შედეგი **საზოგადოების მუდმივი მობილიზაციისა** და სხვადასხვა პარტნიორთა წვლილის შეტანით იქნა მიღწეული. დამსწრე საზოგადოებას შორის იყვნენ შშმ პირების მშობლები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ადგილობრივი ხელისუფლების, საჯარო და კერძო ადმინისტრაციის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. შოუს დასასრულს პოტენციურმა პარტნიორებმა წახალისეს „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ტუნისია“ და მიაწოდეს პერსპექტიული იდეები და რეკომენდაციები ახალი თანამშრომლობისთვის.